

ტურისტული რესურსების
ინტეგრირებული მართვის გეგმა

ბაკურიანი

ბაკურიანი – თბილისი 2008

შინაარსი

შესავალი	3
ბაკურიანი ტურისტული პოტენციალი	3
პრობლემები	7
ხელშემწყობი აქტივობები ტურიზმის განვითარებისათვის.....	12
სასტუმროთა ასოციაციის როლი ბაკურიანში ტურიზმის განვითარების საქმეში.....	15

შესავალი

წინამდებარე ანგარიში შეიქმნა დაბა ბაკურიანში 2008 წლის 1-3 მაისს, ბაკურიანის სასტუმროთა ასოციაციის წევრ, მცირე და საშუალო საოჯახო სასტუმროების მეპატრონეებთან გამართული სამუშაო შეხვედრების შედეგების საფუძველზე.

შეხვედრები მიმდინარეობდა ბაკურიანის ტურისტულ-საინფორმაციო ცენტრში. შეხვედრებს წარმართავენ CENN-ის (კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი) ფასილიტატორები.

სამუშაო შეხვედრების მთავარი მიზანი იყო გამოგვეკვითა ბაკურიანის ტურისტული პოტენციალის ყველა ასპექტი მცირე და საშუალო სასტუმროების თვალსაზრისით, გაგვეანალიზებინა ტურისტული ბიზნესის წინაშე მდგარი პრობლემები, დაგვეჩვენებინა მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

გამოკვეთილი პრობლემების საფუძველზე დაისახა ტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის შესაბამისი მიზნები. დაისახა მიზნების მიღწევის გზები და საშუალებები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სასტუმროების ასოციაციის როლს დასახული მიზნების მიღწევის საქმეში.

იმთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ შერჩეული მეთოდოლოგია გულისხმობდა ადგილობრივი მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის წარმომადგენლების აქტიურობას. მთავარი მიზანი იყო უშუალოდ მათ იდეებზე დაყრდნობით შეგვექმნა ერთგვარი სამუშაო გეგმა, რომელშიც აისახებოდა ადგილობრივი ბიზნესის ხედვა, თუ როგორ უნდა განვითარდეს ბაკურიანში მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესი. ამ შემთხვევაში CENN-ის როლი ძირითადად პროცესის ფასილიტაციით შემოიფარგლებოდა.

ბაკურიანი ტურისტული პოტენციალი

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს ძირითადად მიზანს წარადგენდა გამოგვეკვითა ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლების აზრი და ბაკურიანის ტურისტული პოტენციალის გაძლიერების მათეული ხედვა. მიგვაჩნია, რომ მიუხედავად ბაკურიანის მრავალმხრივი ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალისა და განვითარების ალტერნატივებისა, ადგილზე განხორციელებადია მხოლოდ ის პერსპექტივები, რაც უშუალოდ ადგილობრივი ბიზნესისათვის გამოიყურება მიმზიდველად. გარედან თავსმოსხვეული იდეები, რაც არ უნდა პერსპექტიული და მიმზიდველი ჩანდეს, რეალურად განუხორციელებადია, თუ არ იწვევს ნდობას ადგილობრივთა მხრიდან. ამ შემთხვევაში მოქმედებს თავისუფალი

ბაზრის კანონი. თვითონ ბაზარი და მისი კონიუნქტურა აიძულებს ადგილობრივ ბიზნესმენებსა ეძიონ შესაბამისი რელევანტური გზები ადგილობრივი ტურისტული პოტენციალის განვითარებისათვის. სწორედ ზემოთ აღნიშნულ მიზეზთა გამო, ჩვენთვის უპირველესად საინტერესო იყო მათი აზრი, თუ როგორ აფასებენ ისინი ბიზნესის გაფართოვების შესაძლო პოტენციალს.

ქვემოთ მოგვყავს ბაკურიანის არსებული და სამომავლო ტურისტული პოტენციალი შეფასება, ადგილობრივ ბიზნესმენტთა თვალთახედვით:

ბაკურიანი როგორც სამთო კურორტი.

ადგილობრივები სამთო კურორტის თვალსაზრისით რამდენიმე ძირითად პრიორიტეტს გამოყოფენ. ესენია:

- უშუალოდ სამთო-სათხილამურო სპორტი.
- თოვლმავლები, რომლებიც უკანასკნელ წლებში დამკვიდრდა ბაკურიანში და დამსვენებელთა დიდი მოწონებით სარგებლობს. ამიტომ ადგილობრივებს მიაჩნიათ, რომ საჭიროა შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება (ტრასების მოწყობა).
- ციგურები. ბაკურიანში მოქმედებს ციგურების მოედანი, რომელსაც არასდროს აკლია დამსვენებელი, მიუხედავად იმისა რომ ციგურებით სრიალი და ზოგადად სპორტის ეს სახეობა არასდროს სარგებლობდა განსაკუთრებული პოპულარობით საქართველოში.
- მარხილი. მარხილი ბაკურიანისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი ატრიბუტია. თითქმის წარმოუდგენელია ბაკურიანის ზამთრის პეიზაჟი ამ უმნიშვნელოვანესი ატრიბუტის გარეშე. ტრანსპორტის ეს სახეობა განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მცირეწლოვან ბავშვებში. ადგილობრივთა აზრით, მნიშვნელოვანია რომ მარხილებს არა მარტო სატრანსპორტო, არამედ დამოუკიდებელი გართობის სახე მიეცეს. ამისათვის კი სპეციალური მარხილის ტურების დამუშავება და მოწყობაა საჭირო.

გარდა სამთო-სათხილამურო კურორტისა ბაკურიანი ასევე ცნობილია, როგორც კარგი ***საზაფხულო კურორტი***, ასევე ***კურორტი აქტიური დასვენების მოყვარულთათვის***. ბაკურიანის შემოგარენში უხვადაა როგორც წარმტაცი ბუნებრივი ლანდშაფტები, ისე ცნობილი კულტურული ისტორიული ძეგლები. ამ მხრივ, ადგილობრივთა აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელობას იძენს შემდეგი:


- ბოტანიკური ბაღი უშუალოდ ბაკურიანში, სადაც წარმოდგენილია უნიკალური ალპური ფლორისტული სახეობები.

- ე.წ. ამირანის პარკი, რომელიც ზაფხულობით უამრავ დამსვენებელს იზიდავს.
- ასევე მნიშვნელოვანია ბაკურიანის შემოგარენში მდებარე უამრავი ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული ძეგლი: საბავშვო კურორტი მხეთამხე, ციხისჯვარი, ტაბაწყურის ტბა, თორი, დაბაძველის პლატო, კახისისა და წეროს ულამაზესი ტბები, ტიმოთესუბანის მონასტერი. ადგილობრივთა აზრით, ამგვარი ბუნებრივი და ისტორიული ღირსშესანიშნაობები კარგ წინაპირობას ქმნის იმისთვის, რომ ბაკურიანი გადაიქცეს მიმზიდველ კურორტად აქტიური დასვენების მოყვარულთათვის. მათივე აზრით, ადგილზე შესაძლებელია საფეხმავლო ბილიკების დაგეგმარება და მათი შესაბამისი კვალიფიკაციის გიდებით უზრუნველყოფა. ჩვენს მხრივ ავლნიშნავთ, რომ ამგვარი ბილიკები ნაწილობრივ უკვე დაგეგმილია და გამოცემულია ბროშურის სახით ჩვენს (CENN) მიერ. აღნიშნული მასალა დიდი პოპულარობით სარგებლობს უცხოელ დამსვენებლებს შორის. მაგრამ გიდების ორგანიზებული საგამყოლო სამსახურის არსებობის ნაკლებობა თვით ტურისტული ბიზნესის წარმომადგენლებისათვისაც აშკარად თვალშისაცემია.
- ადგილობრივებს ასევე პერსპექტიულად მიაჩნიათ ველოტურიზმის განვითარება. მათი თქმით მიუხედავად იმისა რომ ქართველებში ტურიზმის ეს სახეობა არც თუ ისე დიდი პოპულარობით სარგებლობს, ამ ტიპის მომსახურების განვითარება მაინც პერსპექტიულია უცხოელი ტურისტების რაოდენობის ზრდის კვალდაკვალ. ამის საჭიროებას ისინი თვალნათლივ ხედავან, რადგან მრავალი მათთან ჩამოსული უცხოელი ტურისტი ინტერესდება ადგილზე „ველობილიკების“ არსებობით. ამან ადგილობრივებს აფიქრებინა, რომ კარგი იქნება თუ ადგილობრივი ტურისტული ბიზნესის განკარგულებაში იქნება რამდენიმე სამთო ველოსიპედი, რომელიც დააკმაყოფილებს ამ ტიპის მზარდ მოთხოვნას.
- ბაკურიანში დიდი პოპულარობით სარგებლოს საცხენოსნო ტურები. თუმცა ამ ბოლო დროს გაიზარდა მოთხოვნა საცხენოსნო ტურებზე შორ მარშრუტებზე. ბაზრის მოთხოვნების ამგვარმა ცვლილებამ ბიზნესის წარმომადგენლებს აფიქრებინა, რომ მსგავსად სამთო ველოსიპედებისა, კარგი იქნებოდა თუ მათ განკარგულებაში იქნებოდა ცხენები, რომლებიც გაქირავდებოდნენ მსურველებზე.
- უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო დიდ პოპულარობას იძენს კვადროციკლების ტური. ამიტომ ადგილობრივები მოთხოვნის ზრდის მიხედვით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სამომავლოდ ამ ტიპის ტურიზმის განვითარებას.

ცალკე ავღნიშნავთ ბაკურიანს როგორც *ბალნეოლოგიურ კურორტს*.
სოფელ ციხისჯვარში კარგად ცნობილი სამკურნალო გოგირდის
აბანოებია. ასევე ხაზგასასმელია ბაკურიანის მნიშვნელობა ფილტვებით
დაავადებულთათვის, განსაკუთრებით ადრე გაზაფხულის პერიოდში.

პრობლემები

პრობლემებზე საუბრისას კარგი იქნება, თუ განვიხილავთ ერთგვარ სქემას პრობლემებისას, რომელიც სამუშაო შეხვედრების დროს შემუშავდა ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად.



როგორც სქემიდან ჩანს, მთავარ პრობლემას წარმოადგენს ტურისტული ბიზნესიდან მიღებული შემოსავლების ნაკლებობა. ამის უმთავრესი განმაპირობებელი ტურისტების ნაკლები რაოდენობაა. ანუ ეს ნიშნავს, რომ ბაკურიანის ტურისტული პოტენციალი სრულად არ არის ათვისებული. სამუშაო შეხვედრის მიმდინარეობისას ამის საილუსტრაციო მაგალითად მოიყვანეს ის, რომ ზამთრის პერიოდში, მაქსიმუმ ორი კვირაა როდესაც სრულად არის დატვირთული თითქმის ყველა სასტუმრო. დანარჩენ პერიოდში გაცილებით ნაკლები დამსვენებელია ვიდრე ბაკურიანს რეალურად შეუძლია მიიღოს. აქედან გამომდინარე უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს სწორედ ტურისტების ნაკლებობა. შეხვედრების დროს გაირკვა, რომ ამ პრობლემას რამდენიმე ძირეული მიზეზი განაპირობებს (იხ. სქემა). განვიხილოთ ეს მიზეზები ცალ-ცალკე:

პირველი რასაც ადგილობრივები აღნიშნავენ ეს არის **ტურისტული სერვისის დაბალ ხარისხი**. ეს პრობლემა პირობითად შიდა და გარე პრობლემებად შეგვიძლია დავეყოთ. ანუ ერთის მხრივ პრობლემები, რომლებსაც განიცდიან ბიზნესის წარმომადგენლები საკუთარი ბიზნესის შიგნით და მეორე გარე პრობლემები, ანუ ის მათგან დამოუკიდებელი ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ტურისტული სერვისის განვითარებაზე. შიგა პრობლემებიდან განსაკუთრებით გამოიყოფა **მომსახურე პერსონალის არაკვალიფიციურობა**. ამ თვალსაზრისით სამუშაო შეხვედრების მსვლელობისას საყურადღებო ფაქტი გამოიკვეთა. უკანასკნელი წლების მანძილზე ბაკურიანის მცირე და საშუალო სასტუმროების მეპატრონეებისათვის არაერთი ტრენინგი გამართულა ტურისტული მომსახურების შესახებ. ნუ, მომსახურე პერსონალის არაკვალიფიციურობაზე საუბრისას არ ვგულისხმობთ თეორიული ცოდნის არარსებობას. საქმე შემდეგშია. მომსახურე პერსონალის სწავლებას გარკვეული დრო სჭირდება, სეზონის (სეზონში ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ ზამთარს, რადგან ზაფხულის პერიოდში უძრავლესი სასტუმროები დახურულია) დასრულების შემდეგ მომზადებული და გამოცდილების მქონე მომსახურე პერსონალი იკარგება და ძალიან რთულია იმავე პერსონალის შემდეგ სეზონზე მოძიება. ამ პრობლემაზე საუბრისას გაირკვა, რომ სასტუმროებში მომსახურე პერსონალის ძირითად ნაწილს არ შეადგენენ ბაკურიანელები. ძირითადი პერსონალი ბორჯომიდან და ხაშურიდან ჩამოდის სეზონურად. მათთვის აქ შემოსავალს სეზონური ხასიათი აქვს. სეზონის დამთავრების შემდეგ ისინი სახლებში ბრუნდებიან და გართულებულია შემდეგ სეზონზე იგივე კონტიგენტის მოძებნა. ანუ სასტუმროების მეპატრონეები ვერ რისკავენ ფულის დაბანდებას მათ მომზადებაში, რადგან არ აქვთ გარანტია, რომ მომავალ წელს კვლავ იმავე კონტიგენტთან ექნებათ საქმე. ამ უცნაურ სიტუაციას (იმას რომ ბაკურიანელები არ საქმდებიან მომსახურეობის სფეროში), ჩვენი აზრით, მხოლოდ ერთი ახსნა აქვს. ამჟამად ბაკურიანში საკმაოდ სწრაფი ტემპებით ვითარდება უძრავი ქონების ბაზარი. ფასები მიწის ნაკვეთებზე უკანასკნელი წლების მანძილზე განუხრელად იზრდება. თითოეულ ბაკურიანელს გააჩნდა გარკვეული უძრავი ქონება,

რომლიდანაც საკმაოდ დიდი შემოსავალიც აქვთ. ცხადია ეს ფაქტორი განაპირობებს იმას, რომ ამჟამად ადგილობრივი მოსახლეობა არ არის დაინტერესებული ამ ტიპის საქმიანობით (მომსახურეობის სფერო). უნდა ვივარაუდოთ რომ ამგვარი სიტუაცია დიდხანს არ გარძელებს და გარკვეული პერიოდის შემდეგ დადგება ერთგვარი სტაბილიზაციის ეტაპი. ამასთან ძირითადი აქტივები ამ დროისათვის უკვე შედარებით მსხვილი ბიზნესის მფლობელობაში გადავა. შესაბამისად გაიზრდება ადგილობრივთა დაინტერესებაც მომსახურეობის სფეროში დასაქმებით. ამასთან ტურიზმის განვითარების კვალდაკვალ აუცილებლად მოხდება გარედან სამუშაო ძალის მიგრაცია და არა მხოლოდ სეზონურად. ეს არის სამომავლო სიტუაცია. ამჟამად კი მომსახურე პერსონალის კვალიფიკაცია კვლავ დაბალ დონეზე რჩება ზემოთ აღწერილ მიზეზთა გამო.

დაბალი ხარისხის ტურისტულ სერვისზე გარდა ზემოთაღწერილი შიდა ფაქტორისა, მოქმედებს ერთგვარი გარე ფაქტორიც, რომელიც ჩვენი სამიზნე ჯგუფის (მცირე და საშუალო სასტუმროების მეპატრონეების) კომპეტენციის ფარგლებს გარეთ გადის. კერძოდ პირველ რიგში ეს არის **სპორტული და გასართობი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა**. ანუ ჩამოსულ დამსვენებელს არავითარი ალტერნატივა არა აქვს, თუ როგორ უნდა გაატაროს თავისუფალი დრო. ამ მხრივ მდგომარეობა შედარებით უკეთესია ზამთარში, როდესაც დამსვენებელთა ძირითად კონტიგენტს სამთო-სათხილამურო სპორტის მოყვარულები წარმოადგენენ. მათთვის გასართობი ინფრასტრუქტურის არსებობა არც თუ ისე გადამწყვეტია. რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა ზაფხულში, როდესაც ბაკურიანი ფაქტირიულად მხოლოდ საოჯახო კურორტად იქცევა, ანუ ძირითადად ჩამოდიან მცირე ასაკის ბავშვებიანი ოჯახები, რომელთათვისაც ასევე ნაკლები მნიშვნელობა აქვს გასართობი და სპორტული ინფრასტრუქტურის არსებობას. ასევე აქტიური ტურიზმის (ლაშქრობები) მოყვარულთ მცირე რაოდენობა. ზამთარში ჩამოსული ტურისტების რაოდენობის შედარებისას ზაფხულში ჩამოსულ ტურისტების რაოდენობასთან ცხადი ხდება, რომ ზამთრის რაოდენობა მკვეთრად ჭარბობს ზაფხულისას. ეს სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ ტურისტული პოტენციული რეალურად სრულად არ არის გამოყენებული.

ტურიზმის განვითარებისათვის კიდევ ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად **სპეციალიზებული სამაშელო სამსახურების არ არსებობა** გვევლინება. თუ ზამთრის პერიოდში სასრიალო ტრასები მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია ამგვარი სამსახურებით, რადიკალურად საპირისპირო სიტუაციაა წლის სხვა პერიოდებში. ასე მაგალითად თუ ზაფხულის პერიოდში ლაშქრობის მოყვარულს მოუნდება ლაშქრობის მოწყობა ბაკურიანის შემოგარენში (ამგვარი ტურისტული ბილიკები უკვე არსებობს), მათ არ ექნებათ არავითარი გარანტია იმისა, რომ დაკარგვის ან სხვა ტიპის უბედური შემთხვევისას მათ ვინმე დაეხმარება. არ არსებობს შესაბამისი სამსახური, რომ ლაშქრობის მსურველმა წინასწარ აცნობოს მისი საგარაუდო მარშრუტი, რათა საჭიროების შემთხვევაში, ან

კავშირის არარსებობის პირობებში მაშველებმა მოახერხონ მისი სავარაუდო ადგილოსამყოფლის ლოკალიზება და დროული დახმარების აღმოჩენა. ამჟამად ბაკურიანში ამ ტიპის ტურისტების დიდ ნაწილს უცხოელები წარმოადგენენ. როგორც ცნობილია უცხოელი ტურისტები დიდ მოთხოვნებს აყენებენ უსაფრთხოების კუთხით. ამ უკანასკნელის არარსებობა კი ცხადია განაპირობებს მათ სიმცირეს.

სამუშაო ჯგუფის მონაწილეებმა ცალკე გამოყვეს **ინტერნეტის არარსებობა**, რაც მათი აზრით დამატებითი ხელისშემშლელი ფაქტორია ტურისტული მომსახურების განვითარებისათვის.

მეორე დიდ ჯგუფს პრობლემებისას, რომელიც სამუშაო შეხვედრების მონაწილეთა აზრით ტურისტების ნაკლებობას განაპირობებს, წარმოადგენს ის, რასაც ჩვენ პირობითად **დევრადირებული ბუნებრივი გარემო** ვუწოდეთ. ამ ტერმინის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ ბაკურიანის ფიზიკურ გარემოს, რომლის მდგომარეობა ხშირ შემთხვევაში არასახარბიელოა. განვიხილოთ ამ ჯგუფის პრობლემები ცალ-ცალკე.

უპირველეს ყოვლისა, ეს არის **ნარჩენების პრობლემა**. უნდა ითქვას, რომ თითქმის მთელი ბაკურიანი მოფენილია ნარჩენებით. ეს პრობლემა ნაკლებად თვალშისაცემია ზამთარში, როდესაც თოვლი ფარავს ზედაპირზე მიმოფანტულ ნარჩენებს. ზაფხულის პერიოდში კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე თვალშისაცემია ნაგვის დიდი რაოდენობა. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შარშან მთელი ბაკურიანის მასშტაბით დამონტაჟდა ნაგვის ურნები, მაგრამ ამან პრობლემა მხოლოდ ნაწილობრივ თუ მოაგვარა. ნაგვის ურნების დამონტაჟება ნარჩენების მართვის კომპლექსური საკითხის მხოლოდ ერთი შემადგენელი ნაწილია და ცხადია ეს საკითხი დამოუკიდებლად ვერ გადაჭრის პრობლემას, თუ ამას თან არ დაერთო სხვა შესაბამისი აქტივობები. კერძოდ, საჭიროა ნარჩენების რეგულარული გატანა, რაც ამჟამად არ ხდება. ამ საკითხს განსაკუთრებით აქტიურად ახსენებდნენ შეხვედრის მონაწილეები. ამასთან მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა ამ თვალსაზრისით არის თვითონ **მოსახლეობის დაბალი თვითშეგნება**.

სამუშაო შეხვედრაზე განსაკუთრებული ხაზგასმით აღინიშნა **მაწანწალა ძაღლების პრობლემა**. აღინიშნა, რომ შესაბამისი სამსახურები ან არ არსებობენ ან, თუ არსებობენ, ვერ უზრუნველყოფენ მოსახლეობის დაცვას მათგან.

ასევე ცალკე პრობლემაა **დევრადირებული ტყე**. როდესაც საუბარია აქტიური ტურიზმისა და ეკო ტურიზმზე, ცხადია ამის ქვეშ იგულისხმება ის უნიკალური ბუნებრივი ლანდშაფტები რომლებიც ქმნიან ბაკურიანის უნიკალურ პეიზაჟსა და ბუნებრივ გარემოს. ეს არის სწორედ ბაკურიანის ტურისტული ბიზნესის განვითარების საფუძველი. ბუნებრივ ლანდშაფტებში კი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტყის

ეკოსისტემებს. მისი განადგურება თუ ხელყოფა ცხადია უარყოფითად აისახება ტურისმის სამომავლო პერსპექტივებზე. უკანასკნელი წლების მანძილზე მწვავე ეკონომიკური და ენერგო კრიზისის პირობებში, უზარმაზარი ზიანი მიადგა ტყის ეკოსისტემებს, ტყის სოლიდური ნაწილი გაიჩეხა. ამასთან უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთებზე) ფასების ზრდის პარალელურად შეიმჩნეოდა სახიფათო ტენდენცია ტყის მასივების ხარჯზე სამოსახლო ტერიტორიების გაზრდისა. მექანიზმი ასეთია: ბაკურიანის შემოგარენში პირწმინდად იჩეხება ტყის გარკვეული ნაწილი. შემდეგ როგორც უკვე უტყეო ტერიტორიის, ხდება მისი ამორიცხვა ტყის ფონდიდან და ადგილობრივი თვითმართველობისათვის გადაცემა, რის შემდეგაც ხორციელდება მისი პრივატიზება. როგორც აღინიშნა, უკანასკნელ წლებში უამრავი ამგვარი შემთხვევა დაფიქსირდა.

ყოველივე ზემოთაღწერილს ცხადია მიყვავართ პრობლემების კიდევ ერთ ჯგუფთან, რომელსაც **არაეფექტური მმართველობა** ვუწოდეთ. ცხადია პრობლემების ეს კატეგორია განაპირობებს თითქმის ყველა დანარჩენ პრობლემას, მაგრამ საკითხის გამარტივებისთვისა და უკეთესად გაანალიზებისთვის ჩვენ ის ცალკე ჯგუფად გამოვყავით. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს რომ ეს პრობლემა თანაბარი ძალით განაპირობებს ჩვენს პრობლემების სქემაში არსებული პრობლემების უმეტესობას.

ამ მხრივ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ადგილობრივი ხელისუფლების არაეფექტურობა. ის განაპირობებს როგორც ზემოთ აღწერილ პრობლემებს, ისე პრობლემების კიდევ ერთ ჯგუფს, რომელსაც ჩვენს სქემაში **მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა** ვუწოდეთ. აქ უპირველესად იგულისხმება წყლის ინფრასტრუქტურის მოუგვარებლობა. დღემდე ბაკურიანის დიდი ნაწილი არ არის **უზრუნველყოფილი წყლით**. ასევე პრობლემაა **საკანალიზაციო სისტემის არარსებობა**. მნიშვნელოვანია ასევე **შიგა საგზაო ინფრასტრუქტურის უწყესივრობა**. აქვე აღსანიშნავია **კომუნალური სამსახურების არაეფექტურობა**, რაც როგორც აღვნიშნეთ იწვევს ნარჩენების მართვის უსისტემობას. ყოველივე ეს დიდ ზიანს აყენებს ბაკურიანის ტურისტულ პოტენციალს. ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, ადგილობრივი ხელისუფლების არაეფექტურობას უპირველეს ყოვლისა განაპირობებს ის, რომ ბაკურიანს **არ გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი**. მათი თქმით, ბორჯომის რაიონის (რომელსაც ადმინისტრაციულად ეკუთვნის ბაკურიანი) ბიუჯეტის ფორმირებაში გადამწყვეტ როლს სწორედ ბაკურიანიდან შემოსული თანხები ასრულებენ. თუმცა, თავად ბაკურიანს ბიუჯეტიდან მხოლოდ მცირე ნაწილიდა თუ რჩება.

ასევე მოსახლეობა ასახელებს პრობლემად ადგილობრივი ხელისუფლების ბიუროკრატიულ ხასიათს და ხშირ შემთხვევაში კორუფციის ფაქტებს. ასე, მაგალითად, მათი გადმოცემით იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ითხოვდნენ სოლიდურ თანხას გარკვეულ საბუთებში, რომელიც რეალურად უფასოა.

სამუშაო შეხვედრებისას ასევე მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა **ცენტრალური ხელისუფლების არაეფექტურობა** ბაკურიანის ტურისტული პოტენციალის განვითარების თვალსაზრისით. კერძოდ, მოსახლეობის აზრით ხელისუფლება არასაკმარის ძალისხმევას ახორციელებს ბაკურიანის საქართველოს ერთ-ერთ ტურისტულ ცენტრად გადაქცევის საქმეში. ამის მაგალითად მათ მოჰყავდათ სიღნაღი და თვლიან, რომ სიღნაღის შემთხვევაში აშკარად ჩანდა ხელისუფლების დაინტერესება და ხელშეწყობა სიღნაღის განვითარებისათვის. ისინი თვლიან, რომ მათთვის იგივე პირობების შექმნის შემთხვევაში, ბაკურიანის თანამედროვე მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნებოდა. ამასვე უკავშირებს ადგილობრივი ბიზნესი სახელმწიფო დონეზე რეკლამის ნაკლებობას.

ხელშემწყობი აქტივობები ტურიზმის განვითარებისათვის

სამუშაო შეხვედრების მიმდინარეობისას, პრობლემების გამოკვეთის შემდეგ შევეცადეთ გამოგვეკვეთა მონაწილეთ ხედვა, თუ როგორ წარმოუდგენიათ მათ ბაკურიანის ტურისტული პოტენციალის სამომავლო განვითარების პერსპექტივები და არსებული პრობლემების მოგვარების გზები.

როგორც პრობლემების ანალიზისას დავინახეთ ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად ადგილობრივებს ტურისტული სერვისის დაბალი დონე ესახებათ. ამ პრობლემის გადასაჭრელად მათი აზრით მნიშვნელოვანია მთელი რიგი აქტივობების გატარება. უპირველეს ყოვლისა საჭიროა მომსახურე პერსონალის საფუძვლიანი შერჩევა რათა მეტ-ნაკლებად მიღწეული იქნას მათი მდგრადობა. ამის შემდეგ საჭიროა მათთვის სპეციფიური ტრენინგების ჩატარება მომსახურეობის დარგში. როგორც პრობლემების განხილვისას ავლნიშნეთ, ამჟამად პერსონალის არა მდგრადობიდან გამომდინარე მეპატრონეები არ ფიქრობენ მათთვის ტრენინგების ჩატარებას, ამ პრობლემის მეტ-ნაკლებად წარმატებით გადაჭრის შემთხვევაში, პერსონალის კვალიფიკაცია უპირველეს ადგილს იკავებს.

სამუშაო შეხვედრაზე ჩვენს მიერ წამოჭრილი იქნა შესაბამისი ცოდნის ნაკლებობის საკითხი. ამ საკითხზე მსჯელობისას გაირკვა, რომ ადგილობრივი ბიზნესი ამ ეტაპზე ვერ ხედავს განსაკუთრებულ საჭიროებას რაიმე ტიპის სწავლებისა თუ ტრენინგებისა, მათი განცხადებით უკანასკნელი წლების მანძილზე მათ საკმარისი თეორიული ცოდნა აქვთ მიღებული ტურისტული ბიზნესის წარმოების საქმეში. ეს ცოდნა შეფერებულია მათ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობასთან. თუმცა აღინიშნა, რომ კარგი იქნებოდა თუკი მათ ექნებათ შესაძლებლობა გაიზიარონ საზღვარგარეთ არსებული, მსგავსი ტიპის ტურისტული ცენტრების პრაქტიკული გამოცდილება, ან უშუალოდ ადგილზე ვიზიტით,

ან ამგვარი ცენტრებიდან მოვლინებული პირების მეშვეობით, რომლებიც უბრალოდ მოუყვებიან იმას თუ როგორ მოხდა მათთან ამ ბიზნესის განვითარება და რა მდგომარეობაა ამჟამად. ეს საკითხი ადგილობრივთა თქმით გაცილებით საჭირო და გამოსაყენებადი იქნება მათთვის, ვიდრე მხოლოდ თეორიულ ცოდნის მიღება.

სამუშაო შეხვედრებზე აღინიშნა რომ აუცილებელია გასართობი და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ფაქტიურად შეუძლებელი იქნება ბიზნესის შემდგომი განვითარება. როგორც ავლნიშნეთ ჩვენ სამუშაო შეხვედრებზე ძირითადად წარმოდგენილი იყვნენ მცირე და საშუალო სასტუმროების მეპატრონეები, მათი განცხადებით ისინი ცდილობენ ამ ტიპის ობიექტების მოწყობას ბაკურიანში, მაგრამ მათი მცდელობები არ არის საკმარისი. ისინი ამგვარი ინფრასტრუქტურის განვითარებას, რელურად მაინც სახელმწიფოსა და შედარებით მსხვილი ბიზნესის პრეროგატივად მიიჩნევენ. ქვემოთ მოგვყავს იმ ობიექტთა ჩამონათვალი რომელიც მონაწილეთა აზრით საჭიროა პირველ რიგში მოეწყოს ბაკურიანში:

- სათამაშო სპორტული მოედნები – სპორტული ინფრასტრუქტურა (საბილიარდო, ფეხბურთის და კალათბურთის მოედნები და ა.შ.);
- საცურაო აუზები;
- მაღაზიები (ნიშანდობლივია, რომ განსხვავებით სხვა მსგავსი ტურისტული ცენტრებისგან ბაკურიანში ფაქტიურად შეუძლებელია რაიმე სახის ადგილობრივი სამახსოვრო სუვენირის ყიდვა);
- ინტერნეტ კაფეები (ეს საკითხი პირდაპირ არის გამოწვეული ბაკურიანში ინტერნეტის არარსებობიდან)
- რესტორნები (სეზონის გარდა, ბაკურიანში ფაქტიურად ერთადერთი რესტორანი ფუნქციონირებს).
- კაფეები და ბარები.
- კაზინოები (შეხვედრებზე აღინიშნა რომ ხშირია ამ ტიპის მოთხოვნები დამსვენებელთ მხრიდან).

მონაწილეთა აზრით აუცილებელი სპეციალური ტურისტული ბილიკების მოწყობა აქტიური დასვენების მოყვარულთათვის. ასევე გიდების მომზადება ამ ტიპის ტურისტებისათვის. ამ მხრივ აქტუალურია ბილიკების მოწყობა შემდეგი ტიპის მარშრუტებისათვის:

- საფეხმავლო მარშრუტები;
- სამთო ველოსიპედის მარშრუტები;
- საცხენოსნო მარშრუტები;
- კვადროციკლის მარშრუტები.

აღინიშნა სპეციალიზირებული სამაშველო სამსახურის შექმნის აუცილებლობა. შეხვედრის მონაწილეები ამ საკითხს განსაკუთრებულად უსვავდნენ ხაზს, რადგან მათ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც

ჩამოსული სტუმრები, განსაკუთრებით უცხოელები, სწორედ ამგვარი სამსახურის არსებობით ინტერესდებიან.

ასევე გადაუდებელ ამოცანად დაისახა ბაკურიანის ინტერნეტ კავშირით სრული უზრუნველყოფა.

პრობლემების მეორე ჯგუფის საპასუხოდ, რომელსაც ჩვენს პრობლემების სქემაში დეგრადირებული ბუნებრივი გარემო ვუწოდეთ, მონაწილეთა აზრით აუცილებელია რიგი ღონისძიებების გატარება, განსაკუთრებით ადგილობრივი თვითმართველობის მხრიდან. კერძოდ, ისინი გადაუდებელ აუცილებლობად მიიჩნევენ ნაგვის დიდი ბუნკერების განთავსებას დაბის ტერიტორიაზე, ასევე ნარჩენების გატანის საქმის მოწესრიგებას. ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებლობაა ასევე მაწანწალა ძაღლების პრობლემის მოგვარება.

როგორც პრობლემების ანალიზისას აღვნიშნეთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა რომელიც ბუნებრივი გარემოს დეგრადაციის პრობლემათა ჯგუფშია გაერთიანებული ბაკურიანის მიმდებარე ტყის საფრის განადგურებაა. იქვე აღნიშნული იყო რომ ტყეების ამჟამინდელი მდგომარეობის უპირველესი განმაპირობებელია ხე-ტყის სათბობ საჭიროებად გამოყენება. ამ მხრივ ღომის წილი სწორედ სასტუმროებზე მოდის. ამ პრობლემიდან გამოსავალი სასტუმროთა მეპატრონეებს ალტერნატიული ენერგო საშუალებებზე გადასვლა ესახებათ. ყოველ შემთხვევაში ენერგო მოხმარების ნაწილი მაინც, რომ ალტერნატიული წყაროებიდან იყოს დაკმაყოფილებული ესეც დიდი შეღავათი იქნება ტყისთვის. ასევე ამ მხრივ აუცილებელია ენერგო დამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა (ენერგოეფექტური ღუმელები, ნათურები, ტექნიკა და ა.შ.). სამუშაო შეხვედრების ზოგიერთ მონაწილეს ჰქონდა ამგვარი ღუმელები და ისინი აღნიშნავენ მის ეფექტურობას სათბობი შეში დაზოგვის თვალსაზრისით.

ზოგადად ენერგოდაზოგვისა და გარემოსდაცვითი აქტივობების თვალსაზრისით სამუშაო შეხვედრების დროს ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოითქვა. ასე მაგალითად გამოითქვა აზრი რომ კარგი იქნება სასტუმროებში დაწესდეს შემდეგი პრაქტიკა: დღიური ცხოვრების თანხას დაემატოს გარკვეული საფასური და ამ საფასურის სანაცვლოდ დამსვენებელს მიეცემა გარანტია, რომ მისი ზედმეტი თანხით მოხდება მისი სახელობის ხის დარგვა ბაკურიანის შემოგარენში, ან სპეციალურად ამ მიზნისთვის გამოყოფილ ადგილზე. შესაძლებელია ასევე ამ ხის და სახელობითი აბრის ფოტოსურათის გაგზავნა დამსვენებლისათვის. ასევე დამსვენებელს უნდა ქონდეთ შესაძლებლობა უარი თქვან თეთრეულის ყოველდღიურ გამოცვლაზე, რითაც გარკვეულწილად დაიზოგება ენერგია. ასევე გამოითქვა მოსაზრება რომ ზემოთ აღწერილი აქტივობები უნდა გაერთიანდეს გარკვეულ სისტემაში, უნდა მოხდეს მისი სისტემატიზაცია და შემუშავდეს ერთგვარი გარემოსდაცვითი სტანდარტი, რომელსაც

დააკმაყოფილებს ვთქვათ სასტუმროთა ასოციაციაში შემავალი სასტუმროები.

ცალკე აღინიშნა რეკლამის საჭიროება. უფრო მეტი რეკლამირება საერთაშორისო მასშტაბით ბაკურიანის, როგორც უნიკალური ტურისტული ცენტრის.

სასტუმროთა ასოციაციის როლი ბაკურიანში ტურიზმის განვითარების საქმეში

როგორც აღვნიშნეთ სამუშაო შეხვედრაზე ძირითადად წაროდგენილი იყვნენ სასტუმროთა ასოციაციის წევრი მცირე და საშუალო სასტუმროთა მენეჯერები. შეხვედრის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენდა გამოკვეთილიყო სასტუმროთა ასოციაციის როლი და შესაძლებლობები ტურიზმის განვითარების საქმეში. მონაწილეებს ერთობლივად უნდა დაესახათ ის გზები რომელიც ასოციაციის საქმიანობას უფრო ეფექტურს გახდის. უნდა განსაზღვრულიყო ასოციაციის როლი პრობლემების გადაწყვეტის საქმეში.

შეხვედრების მიმდინარეობისას გამოითქვა მთელი რიგი საინტერესო მოსაზრებები ასოციაციის სამომავლო ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

პირველ რიგში მონაწილეებმა საჭიროდ ჩათვალეს რომ შემუშავდეს ერთიანი გარემოსდაცვითი სტანდარტები ასოციაციაში შემავალი სასტუმროებისათვის. აქ ძირითადად საუბარია ენერგოდამზოვავ ტექნოლოგიებზე, ნარჩენების სეპარაციასა და გარემოსდაცვით აქტივობებზე. ასოციაციის წევრ სასტუმროებს მიენიჭოთ შესაბამისი ქულა ან ლოგო, რომელიც იქნება იმის აღმნიშვნელი რომ ამ სასტუმროში არის დაცული გარკვეული გარემოსდაცვითი სტანდარტები.

ასოციაციის როლი დიდია ასევე ბაკურიანის ტურისტული მარშრუტების ჩამოყალიბებასა და მათ ბროშურების სახით გამოცემაში. ეს სასტუმროს მენეჯერებს ეხმარება ერთის მხრივ თვითონ იყვნენ გარკვეულნი ბაკურიანის შემოგარიენის ტურისტული მარშრუტების შესახებ და მეორეს მხრივ სრული ინფორმაცია მიაწოდონ დამსვენებლებს, რაც ცხადია თავის მხრივ ტურისტული სერვისის ამაღლებას განაპირობებს.

სამომავლოდ შესაძლებელია ასოციაციის სახელით შექმნილი იქნას ვებოსიპედები, ცხენები და კვადროციკლები, რომელიც იქნება ასოციაციის მფლობელობაში და მასში შემავალი სასტუმროები გამოიყენებენ მას მოთხვნისა და მიხედვით.

ასოციაციის პრეროგატივდ განისაზღვრა მსოფლიოს მოწინავე ტურისტული ცენტრების გამოცდილების მოძიება და მათი ადგილობრივი ბიზნესისათვის გადაცემის უზრუნველყოფა.

სასტუმროთა ასოციაციის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს, ბაკურიანის როგორც ტურისტული ცენტრის და განსაკუთრებით მასში შემავალი სასტუმროების შესახებ ინფორმაციის ინტერნეტ სივრცეში განთავსება, რეკლამირება და მისი მუდმივი განახლება. უნდა აღინიშნოს რომ CENN-ის დახმარებით ბაკურიანის სასტუმროთა ასოციაციის ვებ გვერდი უკვე შექმნილია და მისი პრეზენტაცია უშუალოდ სამუშაო შეხვედრების მიმდინარეობისას გაიმართა, სადაც მოხდა მისი განხილვა და ასოციაციის წევრებისგან შენიშვნების მიღება.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს როლს, რომელიც სამომავლოდ ბაკურიანის სასტუმროთა ასოციაციამ უნდა შეასრულოს წარმოადგენს მისი წევრების და რიგ შემთხვევაში ზოგადად ბაკურიანის მოსახლეობის ინტერესების ლობირება და ადვოკატირება რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე სახელისუფლო სტრუქტურებში და მედია საშუალებებში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ ასოციაციის წევრები აცნობიერებენ ასოციაციის სამომავლო ფუნქციონირების აუცილებლობას. მზად არიან პერიოდულად გაიღონ გარკვეული ფულადი სახსრები მისი ფუნქციონირებისათვის. ისინი თვლიან, რომ მთელი რიგი აქტივობები, ეფექტური შედეგის მისაღწევად უმჯობესია გატარდეს ერთმანეთთან შეთანხმებულად, საერთო ძალისხმევით.